# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

## ბრძანება №2-466

**2023 წლის 15 ივნისი**

**ქ. თბილისი**

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2017 წლის 7 დეკემბრის №1620-რს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის №2-67 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი, 20/04/2012; სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.032.016067) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32, საფოსტო ინდექსი 0159.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი** — **ოთარ შამუგია**